ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ1/100124/1

ქ. თბილისი **10 იანვარი 2024 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები
ერთის მხრივ სსიპ „შემოსავლების სამსახური“ სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ.№16, ს/კ №204525585, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს ვეარ გრუპ ჯი** (შემდგომში მიმწოდებელი) მისი დირექტორის ლიუდმილა პოსტოლნიკ-ის სახით, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის 4ა, ტელეფონის ნომერი: 558 449 616; 551 525 500; ელ-ფოსტა office.veargroup@gmail.com ს/კ: 404639441, სს “საქართველოს ბანკი“, კოდი № BAGAGE22, ა/ა № GE19BG0000000537594256

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

შემსყიდველმა სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით გამოაცხადა სამი ერთეული სატვირთო ავტომობილების სასწორის (მონტაჟით და სრული გამართვით) (CPV42923200 - სასწორები) შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (**NAT230023576**) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი (მონტაჟით და სრული გამართვით)

1. ხელშეკრულების ღირებულება
1.1 საქონლის დასახელება, ტექნიკური მახასიათებლები, აგრეთვე რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი მოყვანილია დანართი N1-ში, რომელიც თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და ითვლება მის განუყოფელ ნაწილად.
1.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **267`720.00 (ორას სამოცდაშვიდი ათას შვიდას ოცი ლარი და 00 თეთრი)** ლარს (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება) ლარს.
1.3 საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.
2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
2.2.1.საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1-ში მოცემულ მახასიათებლებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.
2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1-ში.

4. საქონლის მიწოდების პირობები
4.1.საქონლის მიწოდება (მონტაჟით და სრული გამართვით) ყველა ხარჯის გათვალისწინებით მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **100 (ასი)** კალენდარული დღის განმავლობაში.
4.2. საქონლის მიწოდების ადგილები:

- საბაჟო გამშვები პუნქტი ,,ყაზბეგი" -ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დარიალის ხეობა;
- საბაჟო გამშვები პუნქტი ,,წითელი ხიდი"- მარნეული მუნიციპალიტეტი, სოფელი კირაჩმუღანლო;
- საბაჟო გამშვები პუნქტი "სარფი"- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარფი;

4.3 სასწორის მიწოდების და სრულად გამართვისთანავე მიმწოდებელმა უნდა განხორციელოს დამონტაჟებული სასწორის დამოწმება საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და წარმოადგინოს შესაბამისი დამოწმების მოწმობა. ამასთან, პრენტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას დამონტაჟებული სასწორის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაზომვის საშუალებების სახელმწიფო რეესტრში სასწორის დარეგისტრირების სერთიფიკატი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის (მონტაჟით და სრული გამართვით) შესაბამისად.
5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი (მონტაჟით და სრული გამართვით) შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით და ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის (მონტაჟით და სრული გამართვით) მიღებას, ხოლო თუ, საქონლის (მონტაჟით და სრული გამართვით) მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი (მონტაჟით და

სრული გამართვით) არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი (მონტაჟით და სრული გამართვით) და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის (მონტაჟით და სრული გამართვით) მიწოდებისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტები, მათ შორის საგადასახადო ანგარიშფაქტურა;

5.4 შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, როგორც სრულად ასევე ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის (მონტაჟით და სრული გამართვით) შესაბამისად გაფორმებული შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. „შემსყიდველს“ საკუთარი სახსრებით მიაწოდოს საქონელი (მონტაჟით და სრული გამართვით) ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4.დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

7.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. გარანტია

8.1. საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების ფასების ცხრილში (დანართი N1) აღნიშნულ მაჩვენებლებს.

8.1.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი (მონტაჟით და სრული გამართვით) იქნება ახალი, არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს), შესაბამისობაში იქნება N1 დანართში მოყვანილ მაჩვენებლებთან და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი.

8.1.2 მიწოდებულ საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **2 (ორი) წელი.** საგარანტიო პერიოდში, კალიბრაციასთან და/ან სხვა ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე, უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა შემდეგ ვადებში - ხარვეზის დადგენა - 24 საათი, ხარვეზის აღმოფხვრა - 48 საათი, დეფიციტური დეტალის დაზიანების შემთხვევაში, ახალი დეტალის მიწოდება - 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე. საგარანტიო პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს კონსულტაციის მიღება 24/7 რეჟიმში. გარანტია ვრცელდება ყველა გარემოებაზე გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ხარვეზი გამოწვეულია სასწორის მექანიკური დაზიანებით.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული (მონტაჟით და სრული გამართვით) პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის (მონტაჟით და სრული გამართვით) მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.4 ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის (მონტაჟით და სრული გამართვით) მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05 %-ის ოდენობით;

13.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოცემულ მომენტში გადასარიცხი თანხის 0,05%-ის ოდენობით;

13.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის (მონტაჟით და სრული გამართვით) მიწოდების დროს გამოვლინდა, რომ აღნიშნული საქონელი (მონტაჟით და სრული გამართვით) არ შეესაბამება ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრულ მახასიათებლებს, ან/და თუ მიმწოდებელი ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმირ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

15.1. ხელშეკრულების გაფორმებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი სს „საქართველოს ბანკი“-ს მიმდინარე წლის 10 იანვრის საბანკო გარანტია #PE1066843-24 გაცემული 13386.00 (ცამეტი ათას სამას ოთხმოცდაექვსი ლარი და 00 თეთრი) ლარის უზრუნველსაყოფად.

15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

15.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან 30 დღის ვადაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაბრუნებას.
15.4. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაბრუნებას.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2024 წლის 20 მაისის ჩათვლით** გარდა ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით განსაზღვრული ვადისა.

„შემსყიდველი“ **სსიპ „შემოსავლების სამსახური”**	**„მიმწოდებელი“** **შპს ვეარ გრუპ ჯი**
_____ **მიხეილ ახვლედიანი** ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	_____ **ლიუდმილა პოსტოლნიკ** დირექტორი
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2024.01.10 18:41:21 +04'00'	Vear Group Ge LLC Digitally signed by Vear Group Ge LLC Date: 2024.01.10 17:06:13 +04'00'

ფასების ცხრილი/დანართი N1

შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა (ცალი)	მწარმოებელი კომპანია, წარმოშობის ქვეყნა მოდელი	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების (მონტაჟით და სრული გამართვით) ვადა	მიწოდების ადგილები
სატვირთო ავტომობილების სასწორი (მონტაჟით და სრული გამართვით)	საავტომობილო ელექტრონული სასწორი მაქსიმალური დასაშვები წონა – 60 ტ. მინიმალური აწონვის დიაპაზონი – 400კგ. დისკრეტულობა - 50 კგ. პლატფორმის ზომა -3 X 18 მ. პლატფორმის მასალა - ფოლადი სამუშაო ტემპერატურული დიაპაზონი _ -10°C ... +50°C სასწორი არის სატრანსპორტო საშუალების, როგორც მთლიანი, ისე ღერძულა დატვირთვის აწონვის ფუნქციის მქონე. პროგრამული უზრუნველყოფა მიმწოდებელი უზრუნველყოფს აღნიშნული სასწორიდან აწონვის მონაცემთა გადაცემას ინტერნეტის მეშვეობით, ონლაინ რეჟიმში oracle-ს მონაცემთა ბაზის WEB სერვისის რეკვიზიტების შესაბამისად (მისამართი, მეთოდის დასახელება, მომხმარებლის იდენტიფიკატორი და პაროლი); საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ინტერნეტ-კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში პროგრამა შეძლებს ავტომანქანის აწონვას ლოკალურ რეჟიმში, ხოლო კავშირის აღდგენის შემდეგ, აწონვის მონაცემთა პარამეტრების გადაგზავნას სერვერზე. სერვერზე გადასაგზავნი პარამეტრების ჩამონათვალი: ა) საბაჟოს დასახელება ბ) აწონვის რიგითი ნომერი გ) აწონვის თარიღი დ) აწონვის დრო ე) ავტომანქანის მარკა ვ) ავტომანქანის ნომერი ზ) ავტომანქანის მისაბმელის ნომერი თ) ავტომანქანის ლუქის ნომერი ი) კონტეინერის ნომერი კ) მძიმეწონიანი სატვირთო მანქანის თითეული ღერძის წონა ლ) მძიმეწონიანი სატვირთო მანქანის სრული წონა	3	მწარმოებელი კომპანია: ПП «НВФ «Українська вагова компанія» წარმოშობის ქვეყნა: უკრაინა მოდელი: УВК-А18-С60	89240	267720	ხელშეკრულების გაფორმებიდან 100 (ასი) კალენდარული დღის განმავლობაში	საბაჟო გამშვები პუნქტი ,,ყაზბეგი" -ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დარიალის ხეობა საბაჟო გამშვები პუნქტი ,,წითელი ხიდი"- მარნეული მუნიციპალიტეტი, სოფელი კირაჩმუღანლო საბაჟო გამშვები პუნქტი "სარფი"- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარფი

შენიშვნა: სასწორის მიწოდების და სრულად გამართვისთანავე მიმწოდებელი განახორციელებს დამონტაჟებული სასწორის დამოწმებას საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და წარმოადგენს შესაბამისი დამოწმების მოწმობას. ამასთან, პრენტენდენტის მიერ წარმოდგენილი იქნება დამონტაჟებული სასწორის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაზომვის საშუალებების სახელმწიფო რეესტრში სასწორის დარეგისტრირების სერთიფიკატი.

Vear Group Ge LLC

Digitally signed by Vear Group Ge LLC
Date: 2024.01.10 17:07:02 +04'00'